

30/04/2020

საქართველოს კომუნიკაციების

ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს,

ბატონ კახი ბეჟაურს

ბატონო კახი,

მოგესხენებთ, რომ რადიო ჯიპა (GIPA) ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ ბაზაზე შექმნილი არაკომერციული მაუწყებელია. 24 საათიანი სამაუწყებლო ბადის 6 საათი ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციის რადიოს, BBC-ს ეთმობა.

ასევე, უნივერსიტეტის მულტიმედიაური ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამოუკიდებელი ჟურნალისტები და ლექტორები ამზადებენ საინფორმაციო, ანალიტიკურ, შემეცნებით და გასართობ ყოველკვირეულ გადაცემებს.

რადიო ჯიპას ეთერით არ გადაიცემა რეკლამა ან რაიმე სახის ინფორმაცია სპონსორობის შესახებ.

თანდართულ დოკუმენტებში იხილეთ:

1. შესაბამისობის დეკლარაცია
2. ეთერში გასული გადაცემების ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა



**პატივისცემით,**

მარინე იოსელიანი

რექტორი



ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“

	შესაბამისობის დეკლარაციის ფორმა №1	
1	ლიცენზიის მამიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები	რადიო GIPA, ა(ა)იპ "საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი" საიდენტიფიკაციო #204429341
2	სამაუწყებლო ლიცენზი(ებ)ის/ ავტორიზაციის ნომერი (ივსება მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის მიერ)	B12
3	მონაცემები ლიცენზიის მამიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა და ორგანოების შესახებ	"საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის" უმაღლესი აღმასრულებელი ხელმძღვანელი არის მისი რექტორი, მარინე იოსელიანი. პასპორტის ნომერი: 0502929 პირადი ნომერი: 01005002564
4	<p>ვადასტურებ ხელმოწერითა და ამ დეკლარაციის მე-5 პუნქტის მონაცემებით, რომ ლიცენზიის მამიებელი/ავტორიზაციის მსურველი პირი, ან/და ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრეები არ არიან:</p> <p>ა) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანო; გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა;</p> <p>ბ) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი, სხვა საჯარო მოხელე;</p> <p>გ) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი;</p> <p>დ) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური პარტია/ პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი;</p> <p>ე) ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი;</p> <p>ვ) იურიდიული პირი, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი.</p>	 <p>უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი</p> 
5	ინფორმაცია ლიცენზიის მამიებლის/ავტორიზაციის მსურველის, ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ბენეფიციარი მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და მათ საკუთრებაში არსებული წილების თაობაზე.	ა(ა)იპ " ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის" საიდენტიფიკაციო კოდი - 204429341; მარინე იოსელიანი - რექტორი (01005002564).

## პროგრამები

**BBC Rebroadcasting** - რადიო GIPA ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციის ოფიციალური მედია პარტნიორია. სწორედ ამ პარტნიორობის ფარგლებში, რადიო GIPA-ს 24 საათიანი სამაუწყებლო ბადის 4 საათი - BBC-ს რადიოს ეთმობა. ყოველდღე დილის 6 საათიდან 10 საათამდე FM 94.3-ზე BBC-ს პირდაპირი რეტრანსლაციაა. ასევე კვირის დღეებში 18:00 საათზე, ხოლო შაბათ-კვირას 16:00 საათზე რადიო GIPA-ს ეთერში მოისმენთ BBC Worldwide Service-ს პოდკასტებს სახელწოდებით "The Arts Hour" და "BBC Documentary", რომელიც ხელოვნებასა და სოციალურ თემატიკას ეხება.

**გადაცემა სუბიექტის** წამყვანი ფსიქოლოგი ილია შათირიშვილია. ამ ეტაპზე ეთერში გასულია 15 გადაცემა. გადაცემა ეხება ფსიქოლოგიას. გასული გადაცემების ძირითადი თემები გახლავთ - ზიგმუნდ ფროიდი, განწყობის თეორია, კლინიკური ფსიქოლოგია, ფენტეზის ჟანრის ფილმები და სხვა. ამ თემებზე წამყვანთან ერთად საუბრობენ ცნობილი ფსიქოლოგები და სხვა მოწვეული სტუმრები.

**გადაცემა Locals** ქართველი არტისტის ლევან ყურაშვილის (TSA) პროექტია, რომელიც რადიო GIPA-ს მსმენელს ქართული ელექტრონული მუსიკის არტისტებსა და სცენას წარუდგენს. არტისტებთან ჩაწერილი ინტერვიუები იდება გვერდზე [www.Locals.ge](http://www.Locals.ge), ხოლო DJ სეტები გადის რადიო GIPA-ს ეთერში ყოველ მეორე ხუთშაბათს საღამოს 11 საათზე.

**გადაცემა აუდიობლოგის** წამყვანი ჯიპას ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სტუდენტი ანი ლაცაბიძეა. გადაცემის ძირითადი თემებია - ეკოლოგია, განათლება, მეცნიერება და ყველა მნიშვნელოვანი სოციალური საკითხი. გადაცემა ეთერშია ყოველ ოთხშაბათს საღამოს 6 საათზე.

**საინფორმაციო გამოშვების** წამყვანი ანი ლაცაბიძეა, რომელიც რადიო GIPA-ს მსმენელს კვირის მთავარ სიახლეებს აცნობს.